

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგია ფილოსოფიური

0169 ულეათა პრებული
100 ტბილი


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 18

2020



მთ. რედაქტორი

ლელა გირგველაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-825-0 (18 ტომი)



* * *

ვაკა უბრისებდი დაიგადა ხოგის რაიონის სრულდ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მრავალის მასიმ გროვის სახელმგბის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე წიგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მრმოცდათამადე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევნი“, აღმსანდრა სმირნოვა-კონდოვას მონოგრაფია – „პიტუროვანი“ – ალიო მარავილი, ვერდორ ტიურჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს ბამოვიდა კოეფის ათასბერდინანი, რომ ათასამდე ლექსის მომცველი ერთორმეული – „იქმნე ნაიმ-ლი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რჩევაბლიის ბამოვ-ცემლობა „მოლოდინება“ ბამოსცა ვაჟა უბრისელის „კოლხუ-რი შასალმუნებელს ხუთორმეულის ათასზე მეტ გვერდინანი კორელაციის ფოსი, რომელშიც რინათასეს მეტი კოეტური მმნიდება იყო დაგენდილი. 2006, 2007, 2008 წლებში ბამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორესე ათას-ათას გვერდინანი ტომე-ულები, ხოლო 2011 წელს დაიგენდა კოეფის მეხუთე, 1575 გვერდინანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბ-გული.

ვაქა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონო-ბრაზიანა დაწერილი და ცალკე წიბენებად გამოცემული.

ვაკა ებრისებლი საქართველოს და მსოფლიოს რამდენი-
მე მცხოვრებათა აკადემიის ნამდვილი ტევრია... 2016 წლიდან
საქართველოს მუნიციპალიტეტი, მცხოვრითა და საზოგადო მოდება-
რებითა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-შ და
საქართველოს ეროვნული აკადემიაშ დაისყვა ჩართული კო-
უნიტის რაინდის, საქართველოს მუნიციპალიტეტი კავშირის, ვაჭა-
ფეგელასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის,
დირექტორის ორდენის პავალერის, ჩართული კულტურის დენარი-
ების მედლისა და „დიონესურია 2005“-ის, მგვილობის ოქროს
ვარსკვლავისა და მგვილობის ღრმულის ორდენის მფლობელის,
სახალხო კოეფიციენტის, საქართველოს მუნიციპალიტეტი და
საზოგადო მოდებარებითა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-
საქართველო“-ს კრესილენტის, საქართველოს ეროვნული და
ვაზას საერთო სამსახურის აკადემიის ვარდის გადასაცემის და



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბაღლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დანი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმეტე მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახვენდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლინი დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

„ვაჟა ეგრისელის ლექსებში მცენარე, მთა, მდინარე და ზღვაც ქართულია, ეს კოლხი პოსეიდონი, ზღვას ქართულად ატირებს საქართველოს ბედულმართ დღეებზე“. (ნათელა გოხელაშვილი, მწერალი)

ვაჟა ეგრისელის ყველა ლექსის ღრმა პატრიოტული ქდერადობა, სითბო, ლირიკული სინატიფე და სიფაქიზე, ჭეშმარიტი პოეზიის მადლი და ლაზათი ახლავს. პოეტის თვალსაწიერი ვრცელი და ღრმაა, ყოველ ნაწარმოებს ეტყობა, საფუძვლიანი ფიქრისა და გონივრული განსჯის უნარი. თითქმის ყველა ლექსი თავისი სტრუქტურით ახალია და თავისებური. არსებითად განსხვავდება ყველა სხვა თანამოკალმის ლექსისაგან. ზღვისადმი მიძღვნილი ლექსებით პოეტი იშვიათი მეტაფორული აზროვნების ნომუშებით გვანცვიფრებს და ჩვენც ძალუმად ვგრძნობთ თუ რა შორს სჭრის პოეტის თვალი, რა



საოცარ ფერებში აღიქვამს ზღვის სამყაროს. მის მრავალნაირ მოვლენებს, ესწრაფვის უხილავის ხილვას, განუცდელის განცდას:

„ქარის აკგანში ზღვა ისევ წევს
დედიშობილა,
და აი, ახლა, დილაადრიან –
დამენათევი ცისფერ ჩადანით, –
მარტოდ რომ მიდის, – ზღვის ბილიკზე,
ჩემი ლანდია,
ზღვისებრ დიდგულა
და ქედმაღალი“.

პოეტის სული ზღვის საუფლოა. ზღვა სილამაზისა და სიდიადის უშრები წყაროა, რამეთუ: „ზღვაში თვალს ახელს სასწაული და ფანტაზია“. რომ ზღვა აურაცხელი ზმანების, ხილვის, ასოციაციის, განცდის, სიკეთისა და ერთგულების სამეფოა. ზღვა დაუშრებელია, ეფერება ქვებს და ლოდებს, კენჭებს და ქვიშას. ინახავს ჩვენს წარსულ ისტორიას, მითსა და ლეგენდას. მრავალი ლექსი გვაოცებს სახეთა მოულოდნელობით, ოსტატურად მიგნებული კონტრასტებით. აი თუნდაც:

„ზღვიდან თვალს მიკრავს ერთი მნათობი,
მე რომ სიცოცხლის



ბედად დავსახე,
კვლავ შევციცინებ –
ჩემი ქართლის
ცას მოოქროვილს:
თვალ-მარგალიტით აღსავსეა დამის
სასახლე
და... ადევს მოვარის დიდი ბოქლომი“.

ამ ლექსში ერთი ხატი უმაღლ მეორეს უთმობს ადგილს და ჩვენ გვაოცებს პოეტის ამოუწურავი ფანტაზიის სიმრავლე და სითამამე. აქ საოცარი მეტაფორული სურათია, სიცოცხლის ბედად დასახული თვალჭიატა მნათობი, მოოქროვილი ცა, თვალ-მარგალიტით აღსავსე დამის დიდი სასახლე მოვარის ბოქლომით გადარაზული – გვიხმობს შეცნობისაგნ, გვხიბლავს და გვიზიდავს და ჩვენს გვიჩნდება სურვილი, ჟინი თვალ-მარგალიტით სავსე სასახლე-ში შეჭრისა...

პოეტის ფანტაზია გაცილებით შორს მიდის, რა კოდოსალური ძალაა, რა სასწაული ხილვა:

„ქუხილის ხმაზე, შუალამისას
დიდმა ტალღებმა –
ბანჯგვლიანმა მურა დაოვებმა,
ქარიშხლის ველი გადიძუნძულეს,
ახლა ზღვას სძინავს...



და უწყვია მკერდზე თათები
და თავსასთუმლად უდევს კუნძული“.

აქაა ზღვის იდუმალება, პოეტის თანაგრძნობაც, ზღვის ძილში ჩაზიარების დიდსულოვანი გახმიანება და საოცარი ძალით არის გამოსახული ზღვის ძილი, „ბანჯგვლიანი მურა დათვების“ მიერ ქარიშხლის ველის გადალახვა. მმინარე ზღვა კი მკერდზე თათებდაწყობილი კუნძულზე დამკვიდრებულა და უცნაურ ქმოციურ განცდებს აღძრავს ჩვენში...

ვაუა ეგრისელი ცხადად გრძნობს პოეტურ ძალმოსილებას და რწმუნდება თავის უნიკალურ შესაძლებლობებში: პოეტი იწყებს უსამანო სივრცის შეგრძნებას, ზღვის სამყაროში წვდომას, საკუთარი პოეტური მისიის გააზრებასაც და კოსმიურ მდინარებაზი ადამიანის ფიქრისა და აზრის, განწყობილების დანახვასაც:

„ზღვას როგორც აკვანს,
დასცქეროდნენ მეზღვაურები
და აღვიძებდნენ „ავე მარიას“,
ხოლო ცის დახრილ ლაჟვარდოვან
ტოტზე ბოლავდნენ
და შედამებას მხიარულად სტვენდნენ შაშვები.
მზე ზღვის კიდეზე ირწეოდა
როგორც ხომალდი



და დროს – კაპიტანს –
სოხოვდა ნებას ღუზის ჩაშვების“.

პოეტის მხატვრული სახეების ეს ცხოველმყოფე-
ლობა იქიდან მომდინარეობს, რომ ისინი შექმნილი
არიან ცოცხალი და უსულო საგნების, ცნებების,
იდეების, ასოციაციების მისწრაფებების ლოგიკური
კავშირით.

„...ვაჟა ეგრისელის პოეზია, ისევე როგორც ყო-
ველი დიდი პოეზია, უკიდურესად სუბიექტურია. მისი
არეალი, სახისმეტყველება, მეტაფორული სმენა, ინ-
ტუიტიური და ასოციაციური სამყარო ძნელი ასახ-
სნელია“. (ვახტანგ დავითაშვილი, აკადემიკოსი.)

შემოქმედს ძალა შესწევს არსებობის სიბრძნეც
ამოიცნოს და სიმამაცეც ყოფნის არარაობას გამომ-
ცდელად გაუსწროს თვალი.

უნებურად მახსენდება ინდური მოძღვრება, რომ-
ლის მიხედვითაც ზვირთებივით დაუდგრომელია
თვით სამყარო და ეს ზვირთები, ტალღები, გრიგა-
ლები, აქტიურობაა, აზროვნებაა. სწრაფვა სიწმინდი-
საკენ, რომელსაც თავად დმერთი განაპირობებს.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხმა გამოირჩევა სიახ-
ლითა და ორიგინალობით. მშვენიერება პოეტის სის-
ხლი და ხორცია. მშვენიერების არსიდან გამოჰყავს
მას აკვიატებული აზრი. პოეზიის წმინდა თიხიდან
ძერწავს თემებს, მიზნებს, განწყობილებებს. რასაც



განიცდის, რასაც ფიქრობს, მასზე წერს თავის ლექ-სებში. განცდილ-გადატანილის არე მრავალფეროვანია. მისი პატიონის ერთი ნაწილი შეიცავს იმას, რა-მაც წამიერად გაუცისკროვნა პოეტს სული დვთაებ-რივი კაშპაშა ცხოველი სინათლით. ის, რაც ასე კოქეათ ზეგიდან დაჟყურებს სანიადაგო „მე“-ს, რაც ოდიოგანვე შეადგენს ლირიკოსის ძირითად საგანს.

„შენსკენ მარადეამს
მოვილტგი,
მარადის შენი უღირსი –
მსურს შენმა გზებმა
დამდალოს,
ოკეანეზე უღრმესო,
ყველა მწვერვალზე –
მაღალო“.

„პოეტის კეთილი ნებაა გამოხატული აქ. ამ სიყვარულის, ამ თავგანწირვისა და მამულისადმი უსაზღვრო ერთგულების გარეშე ცხოვრება წინ ვერ წავა, უიმისოდ კეთილი ვერ გაიმარჯვებს... უამისოდ სიცოცხლე ვერ იზეიმებს.“

გავა ეგრისების რწმენით ცალკეული აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა. შემოქმედებითი პროცესი სწორედ ამ ერთადერთი ფორმის ძიებას



წარმოადგენს. ფორმისა და შინაარსის შერწყმის საუცხოო მაგალითია:

„ზღვისკარად კანკალებს სიცივე,
ემტვრევა ყინულის ნეპნები,
და მთვარე უდედო კვიცივით
ღრუბლებს სძოვს...
დამეა თებერვლის...
ზღვის ფსკერზე ურიცხვი ვარსკვლავი
ინოება –
ქარიშხლის შებერვით“.

აქ ჩემი ფანტაზიის სცენაზე თვალნათლივ ვხედავ ძირითადს, გაუცნობიერებელ, ინსტიქტურ, გულის სიდრმიდან ამოსულ სიხარულს ბუნების დღესასწაულით გამოწვეულს, რომ “ზღვის ფსკერზე ურიცხვი ვარსკვლავი ინოება“ და ეს ანთებული ვარსკვლავებიც მარადისობის სიმბოლოა.

„ვაჟა ეგრისელის ზღვისადმი მიძღვნილ ლექსებში დახატულ სურათებს თუ გონებაში შევაერთებთ, – ბრძანებს აკადემიკოსი კოტე მელაშვილი, – თვალწარმტაცი ტილო გადაიშლება, – თითქოს ბოტიქელის „ვენერას დაბადებას“ უყურებდე, მისი წინსკნელის, უკანასკნელისა და გარესკნელის მომხიბლავი ხედებით“.



დიახ, ვკითხულობთ და საოცარ ასოციაციებს გვგვრის კოლხეთის ისტორიის თვალწარმტაცი ფურცლები: აქ ქართული მგზნებარებაა, აქ მზეც არის თვალისმომჭრელი შუქით რომ ანათებს, აქ ოქროს საწმისის ელვარებაც გამოკრთის და მაინც აქაა ახლანდელი თავისუფალი საქართველოს სიდიადე. აქ არის თბილისის ქუჩები და პროსპექტები. აქ არის მთელი საქართველო. მე აქ უძველეს კოლხეთს ვხედავ. აქაა ჩვენი ხალხის ახლანდელი საყოველთაო სახალხო ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის.

პოეტი ვაჟა ეგრისელი დროსაც იმორჩილებს და სხვადასხვა ეპოქებიდან ამოატივტივებს ხოლმე ფარულ მხატვრულ საუნჯებს, რომლებსაც სივრცეებს გადააღავინებს და თავს ერთად უყრის. იგი როგორც პიროვნება უანგარო და სუფთაა, კრიალა აზრებით, სიმართლითა და პარმონიით აღვსილი. მისი გონება სამშობლოზე ფიქრთა დაუცლელი სალარო გახლავთ. მისი პოეზია იმდენად მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა, რომ კიდევ ერთხელ იჯერებ: გენია თვითონ სკოლაა. ვაჟა ეგრისელი ერთ ლექსში ამბობს:

„ცისკრის ნათელთან –
ლამეები ჩამომეცრიცა,
დღეებიც ფიქრის კარში გადიან...
მე კი მამულის დაჭრილ გულთან



მივდივარ ახლო

და მერამდენე წელიწადია,
ჩემი სამშობლოს განრისხებულ
წარსულში ვსახლობ”.

ამ ლექსით ვაჟა ეგრისელი ჩვენი საქართველოს გმირული წარსულის ჭეშმარიტ ჭირისუფლად გვევლინება. პოეტი გულმოღინედ სწავლობს თავისი ქვეყნის ტანჯულ ისტორიას, რათა თანამემამულებებს ბაჟცოცხლოს დიდი წარსულის ბნელიც, სხივნათველი ეპიზოდებიც.

„...პრეიისტორიული განცდებითაა სავსე ვაჟა ეგრისელის შემოქმედება“. (ძიძინა ნანობა შვილი, პროფესორი.)

რა მართებულად მიუთითებდა ერის მებაირახეტრე დიდი ილია ჭავჭავაძე, როცა ამბობდა: „ოდონდ ხელოვნება არ გადაჰცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება ჭეშმარიტებასა და დაქ, არც ერთი და მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაქ, ორივემ იაროს ცხოვრების მდინარეში, მონახოს მარგალიტები და თუ იმათ ამოკრებაში ლაფი და ჭუჭყი თან ამოჰყება, რა უუყოთ, ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.



ვაჟა ეგრისელი წარსულის დიდებული მეხოტ-ბეა. თითოეულ ლექსში დიდოსტატურადაა დახატული ლირიკული გმირის ტანჯვა-ვარამთან ერთად ჩაგვირისტებული ტებილსამური განცდები, გრძნობები, ფიქრები განპირობებულია საქართველოს აღმასვლით.

ცნობილი პოეტი შოთა ნიშნიანიძე აღნიშნავდა: „ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად კოლხია თავისი ბუნებით. ზრდილი, მოსიყვარულე, ვაჟქაცური, გულუხვი... მისი ლექსები ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტევადი, იქ ვერ აღმოაჩენთ მხატვრულ სიცარიელეს, მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამენტივით აღიქმება. მეტაფორა საგნისა და მოვლენის არსში გვახედებს და მათი ისტორია ბიოგრაფიულ ჯაჭვსაც წარმოგვისახავს. ასეთი სტრიქონები ყოველთვის დასამახსოვრებელია და ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი. (შოთა ნიშნიანიძე, პოეტი.)

ლექსი „კოლხეთში“ ჭეშმარიტი მამულიშვილის გულწრფელი აღსარებაა. აქ ავტორის გულწრფელობაცაა და სამართლიანობაც. რომ ის მართლაც შორეული ლეგენდებიდან მოსული კოლხია, რომლის ლექსებში ჩაბუდებულია მოულოდნელი ტრაგიზმით გაჟღენთილი, სულისშემძვრელი, მაგრამ ძლიერი ოპტიმიზმით, ხვალინდელი დღის დიდი რწმენით გასხი-



ვოსნებული განცდები, რომლის იქით ადამიანს,
თითქოს სათქმელი აღარ რჩება!

„ლეგენდის ტოტზე პკიდია მზე –
ოქროს საწმისი,
არ ჩანს აიეტ...
მე მედეას დალატს არ ვეძებ,
რადგან ზღვისკარად
ისევ მიდგას
იმედის ქოხი.

წარსულს ვაძოვებ ჩემს დამეებს, –
ოქროსფერ ვერძებს,
მე – შორეული ლეგენდიდან
მოსული კოლხი“.

ვაჟა ეგრისელმა გაითავისა გენიალური ქართული ფოლკლორი თავისი დრმა ფილოსოფიით, სიბრძნით, ნებისყოფით, დაუმორჩილებლობის გრძნობითა და თავისუფლების დაუღვებელი წყურვილით. ალბათ ასეთმა ლექსებმა ათქმევინა ცნობილ მწერალს თენგიზ გოგოლაძეს: „ვაჟა ეგრისელის ლექსებს უშრეტი წყაროს მარგალიტებს დავარქმევდი – ღრმაბაზროვანს, ფილოსოფიური წახნაგებითა და სიტყვაწყობის მუსიკალობით. იხარე პოეზიის ქვეყანავ საქართველოვ“ – „იქმენ ნათელი“!



მითოსის ბარეზეგები

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში მხატვრულ სახეთა შესაქმნელად მეტად საინტერესოდაა მოხმობილი მითოსი. პოეტს მითიური პერსონაჟები შემოჰყავს ლექსებში დახატული სურათის უფრო კოლორიტულად წარმოსაჩენად. მკითხველზე ძლიერ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს მითიურ პერსონაჟთა ხასიათების მხატვრულად გამოყენა, რაც ისტორიულ მოვლენათა თუ მოღვაწეთა რაობას თუ ვინაობას, მათი ხასიათის სრულყოფილ გახსნას ემსახურება.

მითოსიდან შემოსული პერსონაჟები ვაჟა ეგრისელის რელიგიურობასთან ერთად პოეტური ხილვის ამაღლებულობაზე და სულიერ ინდივიდუალობაზე მიუთითებს. პოეტი ახერხებს ღვთაების ამ ორიგინალური მხატვრული სახის გამრავალფეროვნებას. პოეტს ღვთაება „ცისარტყელად“ ეკლინება:

„მსურს შეგახსენო თავი ჩემი
უფალო ჩემო!
ჩემი ყოფნაა – სულ ერთი დღე
ფარფატი პეპლის,
და ჟამს მწუხრისას მუხლმოყრილი
ლოცვა მხევალთა,
და სული მომაქვს სადამოს მსხვერპლად,
შენს უსპეტაკეს საკურთხეველთან“.



კკითხულობთ ვაჟა ეგრისელის ლექსებს და ჩვენს წინაშე გაიღლვებენ მითიური პერსონაჟები, პოსეიდონი, გლავკე, მედეა, იაზონი, ამორძალები, ქიმერები, აფროდიტე და სხვ. ეს პერსონაჟები მკითხველის მექსიერებაში სამუდამოდ რჩებიან. უნებურად მასსენდება მითიური პერსონაჟის გლავკეს სახე, რომლის გამოხენისას სოფლის შუკა და ორდობე პოეტმა საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილ ტურფა ასულად მოგვაჩვენა. კკითხულობთ ლექსს და გულისძარდვებამდე ვგრძნობთ სილამაზისა და სიცოცხლის სიკვდილთან ბრძოლის მთელ ისტორიას და წარმოიდგინეთ:

„ორდობეს ნეკნებს ულეჭავს ქარი
და ჯვარზე აკრავს, ვითარცა გლავკეს“.

გლავკე ერთ-ერთი იყო იმ ორმოცდაათი ასულიდან, რომლებიც მეოდიტის ზღვის სანაპიროზე რომ ცხოვრობდნენ და მამის ბრძანებით საქმროები მოკლეს.

გლავკე და სხვა ამორძალები ვაჟა ეგრისელმა პონტოს ნაპირას მოიყვანა:

„პონტოს ნაპირას
ლეგენდების მზიან ბუდეში –



ჩემი კოლხეთი ზის
ისე, ვით
უცხო ფრინველი
და ჩექს სიყვარულს
აღტაცებას
და მოკრძალებას.
ზოგჯერ,
ო, ზოგჯერ
ავბედითი ცეცხლ იალებს,
და ცეცხლში მესმის
მე
გრძნეული ამორძალების
შუბთა შხუილი, ყიუინა და
ფართა ჟღრიალი“.

პოეტს ჩაესმის ტროელების დამხმარე ამორძალების იარაღის ჟღარუნი, ლეგენდების მზიან ბუდე-ში მჯდომარე ფრინველის სახით წარმოგვიჩენს პოეტი კოლხეთს და რაოდენ ბედნიერია, რომ ამ ბუდე-ში იჩეკება სიყვარული, აღტაცება და მოკრძალება.

ვაჟა ეგრისელის პოეტურმა მუზამ ამაძონები პონტოს ნაპირზე დაინახა და ქართულ ლექსში შემოივანა. პოეტი სიხარულს ვერ მალავს, თითქოს თავგზაც დაებნა მათი ხილვისას:

„...და ვიღაც ქალი
სიყვარულით მკერდაწეული



მოაჭენებდა ზღვის ნაპირას
ულაყს უბელოს,
კით ამორძალი –
წარსულიდან გამოქცეული“.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ ბუნებრივი ჩანს ერთი საინტერესო მიგნება, კერძოდ ის, რომ პოეტმა ამორძალები წარსულიდან გამოაქცია და უბელო ულაყებზე შემჯდარი ჩვენს დღევანდელობაში შემოაჭენა. ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელმა ამორძალები ახალი კუთხით დაგვანახა და ძალუმად გვაგრძნობინა თავისი უნაპირო ფანტაზიის შესაძლებლობები.

უნებურად მახსენდება ერთი ფრაგმენტი, წარმოდგენილი მისი სულიერი ავტოპორტრეტიდან. შემოქმედებითი მადლითაა შემოსილი ღმერთის მიერ ადამიანის მიწისაგან შექმნის მითი ლექსში – „პოეტის ეპიტაფია“. ესაა ჭეშმარიტი ოსტატის ხელით გამოქერწილი ლირიკული ქმნილება:

„უფალმა ღმერთმა
მიწის ბელტისგან
გააკეთა სიცოცხლე ჩემი
და სიმღერები ჩამბერა სულად
და მიმატოვა.
მოგარდა ჟამი ძუ ვეფხვივით



მშიერ-მწყურვალი და წაიხემსა
დღეები ჩემი.
მაშინ უფალი განრისხდა
და იმავ ბელტისგან გააკეთა
სიკვდილი ჩემი“.

ამ ლექსში პოეტმა ხატოვნად წარმოაჩინა ღრმა ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომ უამთა სრბოლამ პოეტის სიცოცხლის დღეები „წაიხემსა და უფალმა „იმავ მიწისგან გააკეთა“ სიკვდილი კაცისა. მარად წარმავალი, მაგრამ მარად იმედიანია წუთისოფელი და დღეს ამ ამდვრეულ, აბობოქრებულ დროში პოეტად დარჩენა, წმინდა ადამიანური თვისებების გადარჩენა, გმირობაა. ბიბლიურმა მითმა ასეთი მხატვრული გადაწყვეტა პოვა პოეტის კალმის მადლიანი ძალით.

ვაჟა ეგრისელის ლექსებსა და მითოსურ სურათებში ჩანს, რომ პოეტი ნათელმხილველია. რა მართებულად აღნიშნავს აკადემიკოსი რეზო ფაჩულია:

„დროის ათვლის გამოგონება ყველაზე დიდი გამოგონებაა ადამიანისა, დროის ათვლა, მოკვდაობის, საკუთარი არსებობის ხელოვნურად შემოზღუდვაა.

ვაჟა ეგრისელი ურიცხვე ვარსკელავთა პოეტია, რომელიც დროის ათვლას არ ემორჩილება.

ეგრისელის პოეზიას, სამყაროსავით არც დასაწისი აქვს და არც დასასრული.




ვაჟა ეგრისელი პოეტი, სამყაროში თავისი საზომით არსებობს, მას ვარსკვლავთა სინათლის დამტევვი პეშვი აქვს: „ერთი ვარსკვლავი გაიელვებს და ვით წყალობას ერთ პეშვ სინათლეს გამომიგზავნის“ – ამბობს პოეტი.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში





* * *

ქარები ელვის გრძელი თითებით,
ქათქათა დრუბლებს
არ აკემსებენ.
მთვარე აგია ვით აშრიალი*.
ცაში სინათლის ტყე რომ
შრიალებს,
ვარსკვლავები,
იმ ხეების არის ფესვები.

1969

* აშრიალი – მახე.

თოვლის პატი

პატარა და შესაბრალი,
მიჰყვება კლდეთა ნაპრალებს,
ტანზე ზამთარი აცვია
ის მონადირეს არა პგავს,
უფრორე თოვლის კაცია.

1962



* * *

მეტეორები ჰგვანან პოეტებს,
არყოფნით ზეცის სიგრძე,
სიგანე
და თავს იკლავენ,
ვარდებიან ძირს მეტიჩრობით.
დღეებს ვაბოლებ,
ვით პორტსიგარებს
და დამეების ბოლში ვიხრჩობი.

2007



* * *

გადაწყვეტილი ყოფილა ცაში,
აწ აღარ შველის ვაი და
ვიში.
იქ გაწყდა ძაფი, სად იყო წვრილი.
შენს სიყვარულში,
შენს სიძულვილში,
მე ყველაფერში მიმიძღვის წვლილი.

1963



„მინოსური დამზერლობა“

დუმს კორინთო და დუმს კრეტა,
მიმოყრილი კუნძულები
ქვები გახლავთ დომინოსი,
რაზეც ოქროს წარწერაა –
პასიფაეს¹ და
მინოსის².

1966

¹ პასიფაე – ჰელიოსის ასული, აიეტის –და, მედეას – მამიდა.

² მინოსი – კრეტის ლეგენდარული მეფე, პასიფაეს მეუღლე.



* * *

მარადისობის ჯოხს დაყრდნობილი
მთვარეც,
თითქოს ცის მიაგავს
სტუმარს.
და ვარსკვლავები, როგორც წამებულთ
ნიშები,
სიმყუდროვეში დგანან და დუმან
და ამ დუმილით,
რაღაც უბედურებას გვანიშნებენ.

1997



* * *

შეეცოდა...

და მწუხერისას,
ფერდაპარგულ დასავლის ცას
მთვარემ შუქი მიაფერდა.
მთა თეორ ფერს რომ ასწავლიდა
მიწას,
გაიასფერდა.

1978



* * *

სიცოცხლე –
რისხევად თავსდატეხილი
ცხოვრება უღვთო და
წვალებული,
მოკვდავთ სისხლს და ცრემლს
კვლავ აშრობინებს,
წარსულში სძინავთ
მიცვალებულებს,
მომავალში კი ჯერარშობილებს.

2003



* * *

დამით დახურულ ამ ცისქვეშეთში,
სიკვდილი არა,
სიცოცხლეა უფრო საშიში,
ცოდვა და მადლის დიდი სასწორით.
მიწაზე არა,
იგი ცაში ზის,
ვინც ყოველივეს ათანასწორებს.

2004



ოუთისოფელი ასეა

ვითარც მოვედიოთ,
ტირილით წაგალთ და...
აღარ გვემახსოვრება,
შური და ზადები,
რა არის ცხოვრება?!
— სიკვდილისთვის მზადება.

2006



პორიგანტები

პოლხთა შოორეული წარსულიდან,
რეა-კიბელეს
რომ მოყვებიან,
ცხრანი არიან,
მაგრამ ზოგჯერ ათდებიან,
უცხონი კი არა,
ლემნოსელი კაბირ-
კორიბანტებია.*

1986

* კორიბანტები – მცირე აზიას ავტოხოონური ტომებისა
და წინა ელინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე
პელასგების მატრიარქალური დოთაების რეა-კიბელეს
ქურუმებია.



დრო და პოეზი

ოცნების ციდან ჩამოვარდნილი
სიტყვა ფეთქდება ბომბად
ატომის.

და მერე იწვის, ვით ნაგასაკი.
ის მოდგმა გახლავთ
სულ სხვა გვარ-ტომის,
დრო ვერ კლავს პოეტს,
ჰკლავს ლექსები და
ჰკლავს ასაკი.

2008



* * *

წამლად,

ნასახი არაჩანს ღრუბლის,

ნიავად რომ ქრის –

ჩამავალი მზის ქარია,

სუფთა და ლალი.

ცა – ვარსკვლავებით მოჩითული

ეზოა უფლის,

მთვარე – ჭიშკარია,

რომელსაც მიმწუხრისას

აღებს.

1989



* * *

(ଗାରିବନ୍ଧୁ)

ହେମି ଫିଦାନାର୍ଜେବୀର ଓଦାବାଦ୍ୟ* –
ଅନାବ୍ଲୋଦ,
ଯତେବେଳେ ଏହା କୁଳମୁଖ,
ଏହା ଶାରୀରିକ କାରୀମାନ,
ଏହା ପାଦର ପାଦର ପାଦର,
ଏହା ପାଦର ପାଦର ପାଦର.

1972

* ଓଦାବାଦ୍ୟ – (ମେଘର.) ଫାଦାଦ୍ୟବୀର ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାଦର.



* * *

ამბობენ:

მოხუცს არ უხარია,
სიკვდილმა ფეხზე რომ დაიკიდა.
და ქარი რომ ქრის,
სულ სხვა ქარია.
სადღაც არ ყოფნის ისმის არია
და ელოდება წერილს იქიდან.

2001



მგროპა, ლიბია, აზია

წუხს პეროდოტე –
გავიგე გვიან:
თუმც აწი ამას რა აზრი აქვს,
რომ კონტინენტებს,
კოლხ ქალების სახელი
პქვია:
„ეგროპა“,¹
„ლიბია“² და
„აზია“.

1989

¹ „ეგროფა“ – ევროპა (ოროფა) (ძეგრ.) – სიყვარული.

² კონტინენტ ლიბიას ათასწლეულების მერე, ეწოდა „აფრიკა.“



* * *

როცა დედვის ბილიკებით
ჩავიარე მე ზღვისკარად,
ხმა მესმა ცის კამარიდან
მათი, ვინც იქ გაიპარა
და მზეს თვალი აარიდა.

1997



* * *

ცაში დანთებულ ვარსკვლავების
მაღალ კოცონზე,
თავი ათასჯერ უნდა
დაიწვა,
ლოდი რომ დარჩეს კლდეთა ნაშალი.
რა პატარა ეს დედამიწა,
რომ ფენიქსივით ფრთები
გაშალო.

2001



* * *

თუ სიკვდილმა არ მიყელა,
არ დამადგა თავზე ადრე,
კიდევ ცოტა თუ მაცალა.
დავრგავ ცამდე აწვდილ ჭადრებს,
მღვრიე უამთა
ქარსაცავად.

1982



* * *

დასავლეთით ენგური და,
აღსავლით კი თერგი ხელობს,
და მოგესმის გედის მდერა.
კოლხეთია —
ეგრისელო!
შენი მზე და
ბედისწერა.

1967



* * *

შავეთიდან...

თუ ქვესკენლიდან –

მოდის და მოდის ზვირთთა

არმადა,

ხმა კი სამყაროს ერუანტელად უვლის


–

ეს ქარიშხალი კი არადა,

ზღვად დაღუპულთა

ბობოქრობს სული.

1979



* * *

ათასფრად მორთული

ვნახე მთელი სამყარო.

აშ სიკვდილი მიმელის,

გით რტო ამონაყარი –

ჩირთისა და

ჯიმელის.

2008



* * *

კოდხთა სახელი ზეცას წვდებოდა
და არ ყოფილა
მტრისგან ძლეული.
გამარჯვებებს კი წარწერებად
კლდეებს კიდებდა.
მან ჩაუქროლა ათასწეულებს
და მოაღწია დღემდის
დიდებად.

1984



* * *

(ପାରିବାନ୍ଧୀ)

ସିଯୁଗାର୍ଥୀଙ୍କୁ ମଧ୍ୟାଳ୍ପନ୍ତରେ,
ମହି ପାଦକଣ୍ଠରେ ହିଂମ୍ବି
ଲାଜୁମ,
କର୍ମଚାରୀଙ୍କୁ ଉଦ୍‌ଦିନମର୍ମି –
ମାଲ୍ଯ ଉନ୍ନତି ପିରିଜିରାଜୁମ.

1954



* * *

ფეხდაფეხ სდევნიდნენ შავი
ღრუბლები,
მზე ჩავიდა და
უცებ შებინდდა.
შიში არაფრის,
არავითარი.
მხოლოდ ვარსკვლავთა ქოხმახებიდან, –
სევდიანი ხმა ისმის კითარის.

2006

ზღვა ბაბისენებს

ჩახედე ზღვას თვალებში,
შეატყობ სისველეს,
(ხსოვნის ბილიკებით
მწუხარისას მიმსვლელო).
ეს იმას ნიშნავს ზღვა გაგიხსენებს
ათასი წლის მერე,
ვაჟა ეგრისელო!

2005



* * *

დაუმშვენებიათ ტაროებს ულვაშები,
აღარ ეპუებიან
დილის ნისლებს.
ქარები ხანდისხან იწივლებენ.
ყანაში,
სვრელის თხრილს გოგრა
მისდევს,
თავისი ყვითელგულა
წიწილებით.

1962



* * *

ვინც არ ყოფილა შეყვარებული,
თქვენ ნურას ეტყვით
ტრფობის უმეცართ,
ნურცა აშკარად,
ნურცა ფარულად.
თუ სხვებმა გკითხონ, რა მოკლაო,
ჩემზე, უეცრად,
ჩემად უთხარით —
სიყვარულმა!

1963



* * *

გამოქვენისას აღმოხდება ცას მოვარე
გმინგად,
რადგან ვარსკვლავთა აწევს სიმძიმე.
სიცოცხლე თუა, —
მოვარეზე რომ კრთის და
ციმციმებს...
მთებს მიყრდნობია და დამეს სძინავს,
რა ქნას საწყალმა,
ერთი პირიც წყალიც
იძინებს.

1960



* * *

359b3a9:

კოლხთა ისტორიის,

զեր զՅուլո՞ծ ՏաՏՐՈՒԼՏ,

საწყის,

და ეს აღარ ანალვლებო —

ფრიგიელს და

ქანაანელს.

ეპ, ვინ იცის, ოქროს საწმისს,

გარდასული დროთა ქარი,

ახლა სად აქანავებს.

2005



ორხიდები

არყოფნის ტყიდან მოსულებს,
ფერი ედებათ მიტკლის,
ცას სდუმან ორხიდები,
და მიმწუხარისას დღეები –
მოარბენინებ –
სიკვდილს.

2004



მეცნერე საოცრებაა პოლისტი

ძველი კოლხეთის სიყვარული –
შემყრია განუკურნებელ
სწეულებად,
ვითარც მოყვრისა და მოკეთის.
მზიანი ათასწლეულებით –
შორიდან ხელს მიქნევს
კოლხეთი.

1980



პოეზიის შანა

წინ მიდევს წიგნი –
ცხოვრების,
ან ახალ ფურცელს
გადაგმლი,
ანდა დავიწყებ თავიდან.

და...

პოეზიის ყანაში,
მოგკვდები,
ან სვრელს გავიტან.

1959



* * *

ଫାର୍ମିଲୋ ଫାର୍ମିଲୋ କେତୀବେଳେ,
ଶଲୀଳ ରହୁଥିଲେବୋ
ମେଆର-ମୁଲାଗେବୋ.
ମାତି ରା ନ୍ୟାନ କେତୀବେଳେ?! –
ଖଲୁଗା,
ତମିଲୀରୋ ମନେଲୀ ଧରେ,
କିମ୍ବିଲିତ ତାଙ୍କୁ ରାମ ଏକାଗ୍ରେନ...

1971



* * *

მოვარე სახლიდან აღარ გამოდის,
ვითარცა ქალი განათხოვარი,
შემოსეული უცხო დარდებით.
ხარ პოეზიის მილიარდერი,
და სიყვარულის ხარ
მათხოვარი.

1972



* * *

ଜ୍ୟୋତିଶ ମନ୍ଦିରଶ୍ଵର ଓ ମନ୍ଦିରାଶ୍ରମ,
ଅଣ୍ଠିର ରହିଲେ କଥା କଥା କଥା,
ମନ୍ଦିରଶ୍ଵରଙ୍ଗୁଡ଼ି ଯାଇଲିଲି
କଥାକଥା.
ବିଷ୍ଣୁକଥାରଙ୍ଗୁଡ଼ିର କଥାକଥା
କଥାକଥା,
କଥାକଥା କଥାକଥା.

1986



* * *

ორთაჭალით ქუხილის ხმაშ
და დახურვამ დარაბების,
გაიელვა წამად ავის.
თითქოს ცეცხლი არაბებმა,
ისევ ისე წაუკიდეს –
მახათას და
მამადავითს.

1966



* * *

ზღვი სფსკერზე სძინავთ ათასწლეულებს -
 დაუსრულებელ ომით
 დაღლილებს.

სანამ მიაღწევს ცის ნაპირამდე,
 დგამს ქარიშხალი ზვირთა
 ანწალებს.¹

და... პონტოს პირას, როგორც პირატი,²
 წარსულის ქარი კვლავ
 დაწანწალებს.

1962

¹ ანწალა (მეგრ.) - ზვინი

² პირატი - ზღვის ყაჩადი, მექობრე.



* * *

ბავშვივით იხევ განცვიფრებს,

მთებს რომ ნისლები

ფარავენ.

ზღვა რომ ასკდება ცის კიდეს.

მასთან „იმ“ სოფლის სიდიდე,

და „ამის“ სიპატარავე.

2007



* * *

უფლის ფრთოსან ანგელოზებს –
ჩიტებს ნუდარ ეხუმრებით,
მიმწუსრამდე გზებს უმზერენ,
და მერე კი ბეღურები,
კბილს უდებენ
მზესუმზირებს.

1972



ვოთი (ვუთი)

სხვაც იყო...

მაგრამ შენა ხარ,

წარსულში მძინარ დიდ

კოლხეთს,

ვინც დამეები უთია.

რადგანაც იგი სიცოცხლე,

შენი მზე,

შენი ფუთია.*

1964

* ფუთი – უძველესი კოლხური პანთეონის ქალღმერთი.



* * *

დროს სხვა ძალა აქვს ტიალი –
ორგულს გაგხდის
ერთგულს და,
დილას, საღამოდ შემოსავს.
და ზღვისკენ მავალ ენგურსაც,
მთებისკენ გაატრიალებს.

2001



პოლიტიკური ფსალმები
და აღდგომის
პუნქტები

მაშინ სხვა იყო,
მიღმა ასი ათასწლეულის,
სიცოცხლე ახლა უფრო მეტია,
თუმცა მაშინაც იცი?
პოეტ!
რომ კოლხი კოლხეთს ვერ დაეტია,
მაშინდელ სამყაროს მოედო.

1969



მუზეანის ჭაბარი

ჰელიოსის¹ ნათელს ჰფენდა –
კოლხურ მიწას ცა –
მზიანი
და რეგაგდა სხვა ზარი.
სხვაგან არა,
აქ ფაზისთან –
იდგა თვითონ ფასიანე²
და „მუზების ტაძარი“.

1963

1 ჰელიოსი – მზის ღმერთი

2 ფასიანე – ფაზისელი დემრთქალი, რეა-კიბელეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.



* * *

ზვირთების მთებზე სირბილით,
ქარებს მუხლები დაღლიათ,
თუმც ცას დელვაში ახვევენ.
ზღვა მთვარეს უმზერს
ნაღვლიანს,
თაგწაკრულს დრუბლის ნახევით.

1961



აიეტის სასახლე

(ვარიანტი)

უხმობთ უფალი,
მიტომ მწვერვალებს,
მაღლა ეწევათ ძალა მთებური...
ცაზე დრუბლების არ ჩანს ნასახი.
და... მირიადი ვარსკვლავებით
განათებული,
მთვარე კი არა,
აიეტის ბრწყინავს სასახლე.

1967



* * *

ვითარც ადრე,
მითაუამში,
ფაზისის და პონტოს პირას,
სიყვარულად დავინთები:
— წარსულიდან მომკივიან
ლეგენდები და
მითები.

1968



* * *

საფეხურებად ცხრა ცა,
სულ მარმარილოდ თლილი,
გზა გიდევს შორზე,
შორი...

ფერი გედება ლილის,
როს გადაგიფრენს ჩრდილი,
ბარათაშვილის ყორნის.

2006



* * *

ათასწლეულების მერეც,
კოლხი,
კოლხობს,
კვლავ იგია.
გვ,
ღმერთკაცი მარტო
კოლხეთს?!
— შპრძანებლობდა
თესალიას და ფრიგიას.

1971



0123 სვანეთში

ჩემი სამშობლოს მთათა სიმაღლით
გაშტერებული და

მონუსხული,

კლდეზე კიდივარ დამფრთხალ
არჩვივით.

ცაო,

გამხადე კერძი უფსკრულის
და უპდავებას გადამარჩინე.

2003



დიდგორი – 1122

ჩამოწოლილა ბინდი მომხდეურთა...

მათი სიმრავლე

ალბათ იჯავრეს:

დიდგორის ველზე დამეს ათევენ

ქართველები და

პირს უსინჯავენ

ხმლებს,

ელგად კრთება მათი

ნათელი.

1996



* * *

ଧର୍ମଜୀରୋଦାନ –

ଗାନ୍ଧୀରୀଦାମଦ୍ୱୟ,
ଜ୍ଞନଦେହୀ ପାତ୍ରୀ କୃତୀଲ୍ଲବ୍ଧ
ଏବଂ ଧର୍ମାନ୍ତରାଗୀ ଯୋଜନା ଅମ୍ବଲ୍ଲଦେହୀ:
ଜୀ –
ସିଦ୍ଧାନ୍ତକ୍ଷେତ୍ରରେ ମେଘିଦ,
ସିଦ୍ଧାନ୍ତକ୍ଷେତ୍ରରେ ପରମା ନାମଦେହୀ.

2000



* * *

სულ წვრილ-წვრილი გარსკვლავებით
ცას თვალები ევსება.
და შენც ლომპაცს
თითი გეწვის:
ერთი ციცქა,
ერთი ბეწვა,
სულ პატარა ლექსებით.

1971



* * *

„პალესტინაში რუსთაველის სურათი

შეურაცხყვეს.“

(გაზეთებიდან)

აქ,

სვეტიცხოვლის რეკენ ზარები,

იქ –

უძველესი ჩვენი სინას მთის,

რომ კვლავ შური და

მტრობა მძვინვარებს...

მაინც სიცოცხლის მოდის მდინარე,

ადიდებული მზით და

სინათლით.

2007



* * *

ცა იდრუბლება ჩემი წესილით –
გარდასულ დღეთა დამრჩა
გალები,
შორს გაფრინდნენ და აწ აღარ
მოვლენ;
თოლიებივით,
თებერვალები,
თეთრად,
ცის მიღმა გადაითოვლნენ.

1962



* * *

აქვე არის აფხაზეთი,
ზღვა წინ მიდგას
გან-მუხურად.
და წარსულში სძინავთ მთავრებს.
დამემ კარი მოიხურა,
ვარსკვლავები დარჩნენ გარეთ.

1987



მოღამეთა

არც დავითი ჩანს,
არც კონსტანტინე,
ლოცვად დამდგარა მთა
მოწამეთას.

წარსულს ჩურჩულებს ძილში ძირულა,
თითქოს მას უსმენს მთელი პლანეტა,

ფიქრთა მთიებში ცაც ჩაძირულა.

1977



* * *

ელვის პომადას წაიხვამს ტუჩზე

ცა....

და ვარსკვლავებს
ჩაიდიმილებს.

ზღვა კი ნაპირზე ამოსვლას
ცდილობს.

ომაგაწერილი ხმა მოაქვს
ქარებს:

შვილოთო!!!

შვილო...

1971



02-0280 თრიალეთის მთვარი

მოდის და მოღელავს,
დიდგულობს ალგეთი,
ეს ქედები კი რამ დაამუნჯა,
ადრე, ნისლის ყაბალახი რომ ხურებიათ.
თრიალეთის მთებში,
რომ ბოლავენ ლურჯად,
ია-იები,
იქნებ წმინდა ნინოს
ნაფეხურებია.

1960



* * *

სანოლებს ანთებდნენ მწუხერის
ლოცვები

მაცხოვრის ხატთან...
გაჭრა არჩივმა:
ღრუბლებს მთიებმა გზა გაუნათეს.
გაირდვა სივრცე,
გამოაჩინა,
ცამ მთვარის საყდრის თეთრი
გუმბათი.

1986



* * *

ცას არ აბრმავებს შუბთა ბრწყინვა
რამზეს მეორის
და ზღვას არ აკრთობს ხომალდები
მეფე პიროსის,
თეთრი აფრებით –
დამის მთოველი.
მე ვდგავარ პონტოს სანაპიროზე
და შორეთიდან,
კოლხეთის დიდ წარსულს
მოველი.

1972



* * *

სიმყუდროვებში დამდგარ საყდართან,
უცებ მოწყდება ზეცას
გარსპოლავი,
ჯვარს გადაიწერს ბნელში მორჩილი.
ძაღლი გაჰყვება შარას წკავწკავით,
ფეხებშუა შიშის
კუდამოჩრილი.

1959



XX საუკუნე

პონტოს სანაპიროზე,
უკვდავების ხისაგან
გამოჭერი არშინი.
ბუმბერაზთა მხედრობა ნახე და...
გაიოცე.
მაგრამ მათმა ყიუინამ,
წამით ვერ შეგაშინა,
ახლა მხრებზე იზომებ
საუკუნეს მეოცეს.

1999



* * *

ცაში ღრუბლები დადგეს ზვინებად
ქარებმა,
მერე სივრცე წაშალეს.
უზარმაზარ ლოდს ფეხი წამოკრა
არაგვმა და გზა-გზა მიიღინება
და ყურებს იცობს
ჯვარი ლაშარის.

1976



* * *

ფრთაგაშლილი თოლიები –
მოქათქათე ჩანს აფრებად.
და იქვე კი ციცქნა ტალღას
ეტყობა რომ სურს გაფრენა,
მთვარის იქით,
დამის გაღმა.


1963



ତଥାତଥ

ମତେବତାନ୍ କାଗ୍ଜାବୀରନୀରେ,
କିଧିତ-କିଧି ଗାଢ଼ିଲିଲି,
କରିବେବୋ ମେହମାନଙ୍କା...
ଓ ମିନଦା,
ମେ ଆରା,
ଶେବ ଆଜି.
ଅଳା-ଛାନୀ ଛାନ୍ଦବୀରେ,
ମଦାଲିଲି,
ଫିଦାଲି ଓ ଶେବାଜି.

1976



0სეზ ან მარე

ხუთიათასწლეულის იქიო –
კოდხეთს და ქიმეთს¹
მეუფობდა ან მარე.²
და ახლა კი ზოგ-ზოგი:
წარსულში ასამარებს
ისტორიას კოდხეთის.

1971

¹ ქიმეთი – ძველი ეგვიპტე
² ან მარე – ცის კაცი (ძვ.წ.აღ. 5185-5120)



ჩანარი ჭალა

შოორეული წარსულიდან,
მოჰყვებოდა კოლხეთისკენ
თათრის ამქარს.
და ის ტალღა ჩალმიანი,
ზღვის ნაპირთან მოძუგძუგდა
როგორც აღა,
თქვა: „ალეიქუმ!“
და წამს გაქრა.

1963



* * *

დამეულ გზით მიმავალი,
აღარა ჩანს განთიადი.
მიწას,
ზეცა ჩადრად ხურავს.
და დილამდე შუქი ასდის –
ვარსკვლავების ნაფეხურებს.

1965



* * *

ცის უგარსკვლავო დამით მოსილი
და სატანური გზებით მავალი,
დაუფლებია ხსოვნას
ავსული.

აღარც აწმეო ჩანს,
არც მომავალი
და... მე,
კოლხეთის კცხოვრობ
წარსულით.

1972



* * *

შენც უკვდავებას ეპოტინები,
რადგანაც თავი მოგაქვს
მზის შვილად.
ღმერთმა ნუ ქნას და რამე რომ
მოხდეს!!!
მაშინ შენსავით –
ასე ხშირ-ხშირად,
ვინდა აღუვლენს ლოცვას
ძველ კოლხეთს!

1981



ალექს

* * *

ელვის ფრჩხილებით სახეს,
იხოკს მწუხარე სიგრცე,
ცას თვალები აქვს სველი.
და სადღაც,
ვიღაც კიგის...
ლამეა ბნელზე-ბნელი
და სიკვდილივით ცივი.

1962



* * *

მოვა აპრილი და ია-იებს,
პარას ჭალაში
კვლავ დაარისხებს.
ქარი ჩააქრობს მოციმციმე დამის
ნათურებს,
მერე ჭიშკართან დამდგარ ალვის ხეს,
თეთრ იღლიაში ხელს შეუყოფს
და უფათურებს.

1989



* * *

დასავლეთის ცას პონტო ევქსინის
ხელში უჭირავს,
ვით ამანათი,
და რაქნას, სხვისთვის ვეღარ იმეტებს.
პოლხეთს,
ვითარცა ჟამს აიეტის,
ისევ ის ბადრი მთვარე
დანათის.

1969



* * *

უზენაესის ღვთიურ სინათლით,
ცა ლამისაა,
რომ დაელამდეს.
მეტეორები სიმყუდროვის კარებს
აღებენ.
ვარსკვლავები კი ლამაზ დამეს
ქსოვენ დილამდე,
ოქროს სხივების ყაისნაღებით.

1961



* * *

ମାରାଫିଲ ତାନମଦ୍ରେଷ,
ଶୁଭଦର ରା ତାଗକ୍ଷେତ୍ର,
ସିଦ୍ଧଦିଲୀଲ ଶିଶୀ,
ଶ୍ରୀଗାନ ରାମ ଗଗାକ୍ଷେତ୍ରବେ.

2009



ქართლის ბზაზე

ნაჯახით თავმოკვეთილი,
ან რა დევი,
ან რა ჭური,
ისე შვიდფრად გაბაწრული –
ურმებს მიაქვთ შემოდგომა,
ქართლ-კახური
და რაჭული.

1971



* * *

ისტორიის ველ-მინდვრები,
 რემაზ ათასწლეულების
 გადათელებს,
 გადაძოვეს...
 მეც ამიტომ ვერ ვისვენებ
 და ვუყივი: ჰალიძონებს,¹
 დრილებსა² და
 ლემნისელებს.³

1979

123 პრეისტორიულ კოლხთა (ქართველთა)
 მონათესავე ტომები.



* * *

სოფელს აღვიძებს ყეფა ძაღლების,
ჭიშკართან ვიღაც უხმობს
მასპინძელს:
უჩა,
ვო უჩა!
ოდნავ გახსნილი დარჩენია დამეს
საკინძე
და ვით ამორძალს,
მოვარე,
მოჭრილ ძუძუდ მოუჩანს.

1959



* * *

ଶୁଭଲ୍ରୂପିନୀ ପାତାଙ୍କ ନାନାର,

ଅନ୍ଧାଳେଖିତେବେଳେ ନିଃଶ୍ଵର

ଲଗିଥାଏଟ.

ଧନ୍ୟ –

ପାତାଙ୍କର ପାତାଙ୍କ ପାତାଙ୍କର.

ଧା ଧାରାର ଧା, ଧାରାର ଧା,

ଧାରାର –

ପାତାଙ୍କର ପାତାଙ୍କ ପାତାଙ୍କର.

1961



ციხე გოჯისა და შევზის

კოლხთა ძველი გადმონაშთი –
დგას ზეცამდე აღმართული
ციხე გოჯისა და
შევზის.
თავსაცავი,
და იმედი,
დიდი – აიგტი მეფის.

1969



ქოროვა

თქმულებებს და ლეგენდებს

მოსულს –

ძველ კოლხეთიდან,

კოლხეთში კვლავ უდგას ფეხვი,

როგორც ლამაზ სიყვარულს –

ყოროფასი¹ და ზევსის.²

1998

¹ ყოროფა (მეგრ) - სიყვარული - ეპროპა

გაიტაცა ზევსმა კუნძულ კრეტაზე („კოლიხითში“)

² ზევსი - უზენაესი ღვთაება



* * *

მთვარე ვარსკვლავებს ამშვიდებს

მზე კი გულს უღრნის

დარდივით.

ცა – ჩანს შორეულ წარსულად.

გზას მივყვეთ გეშით ნადირის,

სანამ სიკვდილი

დაგვსუნავს.

2008



* * *

ଘାହିନୀର ଫଲିଫଳାନ ଆର୍ଯ୍ୟବ୍ୟକ୍ତିବିଜ୍ଞାନ –
ରାଧାକୃତୀର ମିଜିନ୍ଦାରାଙ୍ଗ
ଫଳ ଫଳାଙ୍ଗ:
– ଗୋଟିଏ ଏକ ମର୍ମବ୍ୟକ୍ତିବିଜ୍ଞାନ,
ଏକାଙ୍ଗର ଫଳାଙ୍ଗ.

2004



ხელვები

ანგელოზების ხმები
წკრიალა,
ისევ მშობლიურ ცას
ახელებენ.
და ქაოსიდან გამოშვერილნი
დედამიწისკენ,
მნათნი კი არა,
წინაპართა არის ხელები.

2001



* * *

მთებს მიღმა,
ცივ სიმყუდროვეში,
ლრუბლებმა ფრთები თუ
გაშალეს,
ცა იგრძნობს მნათობთა შერხევას.
ზღვამ იცის,
რომ მოვა გრიგალი აშარი
და გადაუმტკრევს ზვირთებს
ხერხემალს.

1996



ანტიქრისტე თბილისში

დვთის სახლი სულ დია რომ იყო,
ახლა მიმწუხრისას კეტავენ.
და უკვირს მრევლსა და
მნათესაც:
ურწმუნო,
და ქრისტეს ფეხების მკვნეტავი,
თბილისში ვინ ჩამოათესლა?!

1993



* * *

აქეთ კი არა,
ვიხედები უკვე იქითაც
და ვეფერები დღეებს
დარჩენილს.
დგთის სადიდებელს ვსვამ ბარძიმით,
დოქით,
ჭიქითაც.
და ვითარც დავითს,
ვიცი, გამჩენი,
ცოდვებს, ლოცვებში გამომიქვითავს.

2002



ხილვა: მეღეა

„ავე მარიას“ –

აღვიძებდნენ მეზღვაურები

და კაპიტანი, როგორც

დაგვპირდა:

ქარმა მწუხრისას გაშალა აფრა,

წამს ქალის სახით აღიმართა

ტალღა ნაპირთან,

– მოვედი! –

თქვა და უეცრად გაქრა.

1980



* * *

ასეა დასაბამიდან:

ცხოვრება ტკბილი არის

და კოლოც.*

და სანამ ზღვასთან მივა მთები,

წვენც ვივლით...

ვივლით...

და ბოლოს,

მაინც სიკვდილს კარს მივადგებით.

1998

* კოლო (მეგრ.) – მწარე.



* * *

ათასფრად ჰყვავის ზესთა სამყარო...
დამის კედლები –
მარმარილო არის ნათალი
და ის ათასჯერ მე მაქვს ავლილი.
მოვარე ჰყიდია ცხენის ნალივით
ცას,
ავმა სულმა რომ არ
გათვალოს.

1968



ପାଦାଳୀ, ମନ୍ତ୍ରଶବ୍ଦୀ, ଧାତୁମେଳି କରିଲା

ରାତମା ରାତ,
ରାସ ନେବାମ୍ବେ
ବାନ ଗାନ୍ଧାତଳାଗ୍ରେ,
ବାନ ନାହିଁରିଯିତ ଗାନ୍ଧାରାଗ୍ରେ,
ଏବ ବାନାଚ କୁ ଦିନ ଫାରାନିବେ,
ବାନାଚେ ବେଜନ୍ଦେବେ ବାନ୍ଧାରାଦେ.
ଏବଂ ବେଜନ୍ଦେବେ ଦିନ...
ରାତ ଆନ୍ଦୋଳାଗ୍ରେ ମନ୍ତ୍ରଶବ୍ଦୀ କରିଲା,
ରାତର ମନ୍ତ୍ରଶବ୍ଦୀ
ପରିତାମନ୍ତ୍ରଶବ୍ଦୀ କରିଲା.

1962



* * *

შემოდგომის დღეებმა
პარას ლამაზ ჭალაში,
მზე და სუსხის ქვიტკირი
ერთურთს ჩაგვირისტეს.
და... ბავშვივით მისტირის –
ტირისკონი¹ –
ტირისკენს.²

1977

¹ ტირისკონი – ნოქმბერი

² ტირისდენი – დეკემბერი



* * *

სადღაც მთებს მიღმა დასალიერი,
ელგით ირღვევა და
იკემსება.
მეხი ღრუბლებში ისევ ახირდა.
მაგრამ უეცრად ცამ
გაიზმორა
და ვარსკვლავების ოქროს ნემსები,
პვლავ გადმოყარა დამემ
